

პროექტის სახელწოდება: შპს „გეოსტილ“

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: 38146

დარგი: ზოგადი მრეწველობა

სექტორი: კერძო

გარემოსდაცვითი კატეგორია: ბ

ევრობანკის დირექტორთა საბჭოზე პროექტის განხილვის თარიღი:

22/01/2008

სტატუსი: გაიარა კონცეფტუალური განხილვის ეტაპი, ექვემდებარება საბოლოო განხილვას

საზოგადოებრივი მომსახურების დოკუმენტის გამოქვეყნების თარიღი:

26/11/2007

საზოგადოებრივი მომსახურების დოკუმენტის განახლების თარიღი:

პროექტის აღწერა და ორიენტირები:

შემოთავაზებული პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში 175 ტონ. წარმადობის მქონე მცირე ზომის ფოლადის ქარხნის მშენებლობას და ოპერირებას. გამოყენებული იქნება ადგილობრივი ჯართი (მასალა აშუამად გადის ექტპორტზე). ფოლადის ქარხნის ძირითადი პროდუქცია იქნება ჩამოსხმული მილების წარმოება, რომელთა რეალიზაცია ძირითადად საქართველოში და მეზობელ სომხეთში განხორციელდება. კომპანია მდებარეობს რუსთავის სამრეწველო ნაწილში, თბილისიდან დაახლოებით 40 კმ-ის მოშორებით.

ეკონომიკის გარდაქმნის ეფექტი:

შემოთავაზებული პროექტი იქონიებს მნიშვნელოვან სადემონსტრაციო ეფექტს ქვეყანაზე დიდი უცხოური პირდაპირი საინვესტიციო სამრეწველო ინვესტიციის სახით. ერთ-ერთი უმსხვილესი და წარმატებული ინდური ფოლადის მწარმოებელი მხარს უჭერს ხსენებულ პროექტს და მის ფარგლებში მოხდება მსესხებულზე ტექნიკური ცოდნის გადაცემა. პროექტი მოიაზრება როგორც პირველი ფოლადის მწარმოებელი საწარმო საქართველოში, მას შემდეგ რაც დაიხურა ინტეგრირებული ფოლადის წარმოება ხსენებულ ტერიტორიაზე და ამგვარად კლიენტების შესაძლებლობები ადგილობრივად ჩამოსხმული მილების მიწოდებაზე გაძლიერდება და მთლიანობაში მათი ეფექტურობა გაიზრდება.

კლიენტი:

შპს „გეოსტილ“ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა. პროექტს მხარს უჭერს JSW Steel B.V. (ნიდერლანდების სამეფო), ინდოეთში ფოლადის ერთერთი უმსხვილესი მწარმოებელი.

ევრობანკის დაფინანსება: 29 მილიონ აშშ დოლარამდე ძირითადი სესხი, რომლის სინდიცირებაც მოხდება კომერციულ ბანკებზე.

სულ საპროექტო ხარჯები: 42 მილიონი აშშ დოლარი.

გარემოსდაცვის ეფექტი:

სკრინინგის კატეგორია და დასაბუთება

პროექტს სკრინინგის შედეგად მიენიჭა ბ/1 კატეგორია, რომელიც გულისხმობს არსებული ობიექტის და კომპანიის გარემოსდაცვით აუდიტს და შემოთავაზებული საინვესტიციო გეგმის გარემოსდაცვით ანალიზს, რათა სამომავლო პერსპექტივაში დადასტურდეს საქართველოს და ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებთან მათი შესაბამისობა.

ტექნიკური ანალიზის ჩატარება და შედეგები

ევრობანკმა ჩაატარა პროექტის გარემოსდაცვითი ანალიზი, რომლის ფარგლებშიც მოეწყო ობიექტის დათვალიერება და კომპანიის ტექნიკურ გუნდთან შეხვედრები დაგეგმილი პროექტისა და გამოსაყენებელი ტექნოლოგიის განხილვის მიზნით. დამატებითი შეხვედრები შედგა თბილისში გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში. კომპანიამ განახორციელა პროექტის გარემოსდაცვითი გარემოს შეფასება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და მის ფარგლებში მოეწყო საზოგადოებრივი კონსულტაციებიც.

ტექნიკური ანალიზით დასტურდება, რომ საწარმო აკმაყოფილებს ეროვნულ და ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებს და შემოთავაზებული პროექტის სამრეწველო სისტემის პირობებში მისი გავლენა გარემოზე შეზღუდული იქნება. კომპანია ხელმძღვანელობს საუკეთესო ბიზნეს პრაქტიკით და ამის დასტურად წარმოებაში გამოიყენებს მტვერის შემცირების მანქანა-დანადგარებს და მოახდენს მუდმივ მეთვალყურეობას თაღოვანი ღუმელიდან მის ემისიაზე.

ტექნიკური ანალიზი ასკვნის, რომ საწარმო არ მდებარეობს სენსიტიურ არეალში და შესაბამისად გარემო და სოციალური ეფექტი არ იქნება მნიშვნელოვანი. გარემოზე ტექნიკურ ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპანიასთან. ხსენებული დოკუმენტი კომპანიისგან მოითხოვს საწარმოს ისეთ დიზაინს, მშენებლობას და ოპერირებას, რომელიც დააკმაყოფილებს ეროვნულ და ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებს და სხვა მრავალ საკითხთა შორის მოიცავს ვალდებულებას განუხრელი მეთვალყურეობის დაწესებაზე და გარემოსდაცვითი საკითხების მართვის სისტემის დანერგვას.

პროექტის განხორციელების მოთხოვნები:

- კომპანიას მოეთხოვება ევრობანკს წარმოუდგინოს წლიური გარემოსდაცვითი ანგარიში, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის ჩათვლით და მყისიერი შეტყობინებები ნებისმიერ მნიშვნელოვან საავარიო გარემოებაზე,
- კომპანიამ უნდა განახორციელოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა და გარემოსდაცვითი მართვის სისტემა განგრძობადი მეთვალყურეობის სისტემების გათვალისწინებით,
- კომპანიამ საქმიანობა უნდა აწარმოოს ეროვნული და ევროკავშირის გარემოსდაცვითი მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით,

- კომპანიამ უნდა უზრუნველყოს პერიოდული გარემოსდაცვითი აუდიტი და ევრობანკის თანამშრომლების ან ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლების მიერ საწარმოს სამეთვალყურეო დათვალიერება ნებისმიერ დროს გამოთქმული საჭიროების მიხედვით.

ტექნიკური თანამშრომლობა: ეს პირობა ხსენებული პროექტის პირობებში არ არის აქტუალური.

საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფით დაინტერესებულმა პირებმა ტექნიკური თანამშრომლობის ფონდიდან დაფინანსებულ პროექტებზე უნდა იხილონ შესაბამისი ინფორმაცია ევრობანკის ინტერნეტ გვერდზე შემდეგი ბმულით: [procurement of consultants](#)

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია:

ბატონი ჰარდიპ სინგჰი
შპს „გეოსტილ“
მთავარი ადმინისტრაციული
საქართველო, რუსთავი 3700
დავით გარეჯის ქ. № 36
ელ. ფოსტა: hsingh@geosteel.com.ge
ფაქსი: + 995 24 141 097

ევრობანკის საკონტაქტო ინფორმაცია: ჰოლგერ მუენტი, საოპერაციო
ჯგუფის ხელმძღვანელი - muenth@ebrd.com

ბიზნეს შესაძლებლობების და შესყიდვების შესახებ დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ ევრობანკის კლიენტ კომპანიას.

ზოგადი ინფორმაციისთვის (საპროექტო და შესყიდვების ინფორმაციის გარდა) მიმართეთ ევრობანკს შემდეგ რეკვიზიტებზე:

ტელ: +44 20 7338 7168
ფაქსი: +44 20 7338 7380
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com